**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ულდერივი სტრიქონი რვაკაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

მარიამ ივანეს ასული მიქელაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა თავისის მეუღლისას, **ეგნატე სოლომონის ძის მიქელაძისას**, და სთხოვს მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ სიონის ტაძარში სამშაბათს, 29 ოქტომბერს, დილის 9½ საათზედ, თავის სადგომიდგან, რომელიც იმყოფება ექსარხოსის მოედანზედ, ზახარბეგოვის სახლში, სომხების სურპნიშნის ეკკლესიის პირდაპირ. (1—1)

ქართული თეატრი
კვირას, 27 ოქტომბერს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება,
აკაკი წერეთლის ისტორიული დრამა

## პატარა-კახი

მესამე მოქმედებაში ქართული ხორო რატილის ლოტბარობით შეასრულებს „მუშურს“ და „მუმლი-მუხას“

II

პირველად ახალი ვოდევილი
**ბარაქალა მასწავლებელო!**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი სავარიოვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, არლანისა, აგიევისა, ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გ. ხუციშვილი, განდელაკი, გედევანოვი, შათიროვი აბაშიძე, და სხვ. დასაწყისი 7½ საათზედ.

ადგილების ფასი: ლოჟები 3 მან. მოყოლებული 10 მანეთამდე, სკამები 60 კაპ. 3 მანათამდე, გალერეია 20 კაპ. 40 კაპეიკამდე.

რეჟისორი ნიკ. ავალიშვილი ადმინისტრატორი ვალ. გუნია.



## დღეს
### პარაშუტით აფრინდება
ოგიუსტ გოდრონი
(დიდუბის მოედანზედ)



## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ფრანგი მოგზაური გეორგ ბროდერსი, რომელსაც განზრახვა აქვს, საქართველო დაათვალიეროს და გამოიკვლიოს.

*** ტფილისის პირველს კლასიკურს გიმნაზიაში წლიური აქტი ნოემბრის 10-შია დანიშნული.

*** პარასკევს, ამ თთვის 25, ღამით, პრიკაზის ქუჩაზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველი მიჰვარდა ამ ქუჩაზე მიმავალს ბ-ნს ქათანიანცს და ორჯელ დანა დაარტყა გვერდსა და ფეხში. ქათანიანცი ფეხსა და მარჯვენა ხელში დაიჭრა და გვერდში დარტყმის დროს-კი დანა უბის საათს მოხვდა და დაიკეცა. შემდეგ ავაზაკი გაიქცა და ჯერაც ვერ შეუპყრიათ.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ვიღაც ბ-ნი კროლი, რომელსაც კალიის გასაწყვეტი მანქანა მოუგონია და ეს მანქანა კავკასიაში ჰსურს გამოსცადოს.

*** ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ ბაქოსა, ბათუმსა, სუხუმსა, ქუთაისსა და ახლომახლო ალაგებში ინფლუენციამ კვლავ იჩინა თავიო. ამ სენით ბათუმში ერთი კაცი მომკვდარა კიდეც.

*** გუშინ-წინ, ამ თთვის 25, გარდაიცვალა მეორე გილდიის ვაჭარი ეგნატე სოლომონის ძე მიქელაძე, რომელსაც სამშაბათს, ამ თთვის 29, დაასაფლავებენ. განსვენებულმა სიკვდილის ჟამს უანდერძა: 1) 500 მანათი ახალქალაქის მაზრის ვარძიის მონასტერს ხიდის გასაკეთებლად, 2) ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელს 100 მ., 3) დიდუბის სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებელს—100 მ., 4) ალავერდის წმ. მარინეს სამრევლო სკოლას—100 მ. და 5) ამაღლების სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებელს—100 მ. სულ საქველ-მოქმედო საქმეთათვის გადასდო 900 მ.

*** ხშირად შეხვდებით ქართველს ყმაწვილს ქალსა თუ კაცს, რომელსაც მშვენიერი ხმა აქვს და დიდი ნიჭი ეტყობა მუსიკისა და სიმღერისა, მაგრამ, სამწუხაროდ, შეძლება ნებას არ აძლევს და ხელს არ უმართავს, რომ ეს ნიჭი განივითაროს, შეიმუშაოს და განიძლიეროს. სხვათა შორის, ასეთი ნიჭი ეტყობა ყმაწვილს კაცს ბ-ნს ჟღენტის (ჟიგონის), რომელსაც ქართველი საზოგადოება ასე თუ ისე იცნობს, რადგან ბ-ნ ქორიძის კონცერტებში იღებდა მონაწილეობას, როგორც ტფილისში, აგრეთვე თელავსა, სიღნაღსა, ფოთსა, ბათუმსა, სოხუმსა და ჩვენის ქვეყნის სხვა მცირე ქალაქებში. ბ-ნს ჟღენტს მოუნდომებია თავისის ხმის შემუშავება და ამ აზრით შეძლების მოსაპოვებლად განუზრახავს ტფილისში კონცერტი. იმედია, ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ სასურველს ყმაწვილის კაცისას.

*** გუხიჯვარი (გორის მაზრა): საზარელი შემთხვევა მოხდა აქ 20 ოქტომბერს. ამ დღეს აზნაურს ივანე ჩინჩალაძეს დაეწვა ბოსელი და შიგ მთელი ათი სული საქონელი, რაც-კი ებადა. საბრალოს ჯერ არც დაუფარცხავს და არც შეშა მოუტანია. როგორც სჩანს, ცეცხლი ათის წლის გიჟს ბიჭს წაუკიდებია. თითონ ჩინჩალაძე იმ ღამეს დაბრუნდა სალოცავიდგან, დაღალულმა საქონელს თივა დაუყარა, ბოსლის კარი მოჰხურა და დაიძინა. იმის მოსვლამდე-კი ბიჭი შესულა, სანათით ჰერში რაღაცა უძებნია და დაძველებულს ხეს ცეცხლი მოჰკიდებია. მთელი საქონელი გათენებამდე ბოლს გამოერჩო.

*** ფოთი: აქ ბრძანება მოვიდა, რომ სიმინდის საზღვარ-გარედ გზავნა აღკრძალულიაო. წარმოიდგინეთ ჩვენების შეწუხება: დიდ-ძალი სიმინდი მოვიდა წრეულს და ერთად-ერთი მუშტარი-კი დღევანდლამდე საზღვარ გარეთი იყო. აქამდე სიმინდი სამ აბაზად და სამ-აბაზ-უზალთუნად ფასობდა და ვნახოთ, ეხლა რას იზამს, აიწევს, თუ დაიწევს. ჩვენის აზრით, არ უნდა დაიწიოს, რადგან რუსეთში სიმშილობის გამო დიდძალი სიმინდი დასჭირდებათ. ტყუილად ჰნაღვლობენ სიმინდის პატრონები, მუშტარი არ დააკლდებათ, ხოლო სასურველი-კია, რომ ზოგვით ჰყიდდნენ და თითონაც ხელ-ცალიერნი არ დარჩნენ, რადგან, ვინ იცის, მერმის როგორი მოსავალი მოვა.

*** სოფ. ვანათი (გორის მაზრა): სოფ. ვანათის მცხოვრებელმა ვანო ბასიშვილმა გაზაფხულზედ სამი წლის ვაჟიშვილი დაჰკარგა; აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მოედნენ ტყე-ველსა, მდინარის პირსა, მაგრამ ველარ იპოვნეს. სთქვეს, ალბად ან წყალში დაირჩო, ან ჰალაში დაიძინა სადმე და ნადირმა შეჭამაო. გამოიტირეს, გამოიგლოვეს და თავი მიანებეს. ამ ამბის ოთხის თთვის შემდეგ ვიღაც კაცებს შორს მაღალსა და ტყიანს მთაში ეპოვნათ ეს ბავშვი მკვდარი იმავე ტანისამოსით, სრულიად სახე და ასო შეუშლელი, ეცნოთ, მოეყვანათ პატრონთან, რომელთაც მეორედ, გამოტირების შემდეგ, დაესაფლავებინათ. ყველა იმას ამბობს, რომ, რაც უნდა გზა დაბნეოდა, იქ თითონ ვერას გზით ვერ ავიდოდა ბავშვიო.

*** სოფ. თეკლათი (სამეგრელო): ამ რამდენისამე ხნის წინად ჩვენის სოფლიდან სხვათა შორის გწერდით, რომ სამწუხაროდ, რადგანაც ჩვენში არ იქნა და არ მოისპო ქურდობა, ავ-კაცობა, იმის მოსასპობლად სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწემ ბ-ნმა კა—ლმა საყოველთაო კრება მოახდინა თეკლათის საზოგადოებისაო. ეს კრება რამდენად საინტერესო იყო ყველასათვის, ამას აშკარად ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ კრებაზე თითქმის 900 კაცზედ მეტიც დაესწ-

## ფელეტონი

### კახეთს

მიყვარხარ, ტკბილო კახეთო,
დიდო ალაზნის ჴალაო,
ირემო— იალაღზედა,
ივრის პირებზედ—ჩალაო;
ბარდებში მძრომო ხოხობო,
ტურფაო ხარის-თვალაო,
შირაქო, ცხვრების დედაო,
ზედ ჯეირნების ფარაო.

მიყვარხარ სიყვარულითა,
ვაჰმე, შხამ გარეულითა;
მუდამ გიგონებ გულითა,
სევდისგან დალეულითა;
გეტრფი და გეტრფი გრძნობითა,
ზეცამდე აწეულითა.

ვაიმე, ჭირის მოკლულსა,
მე ლხინის მომლოდინესა,
ვწევარ გულ-გადალეული
ტანჯულთა სალოგინესა,
ცრემლს მასმევს, მომშიებულსა
შავს მიწას მალოკინებსა.

ეგებ არ მოვკვდე შენისა
სურვილით გაუძღომელი,
მამულის მხსნელთა ნაკვალსა
არ ავცდე აუცდომელი...
თუ დაუტირლად დავეგმხო
აწმყოთი დაუტკბობელი,—
მყობად მოყვარულს სამუდმო
შენ მომეც დასადგომელი!
ეგები ძვალებს მაინცა
ნამი ანამოს მდელომა
და ჩემს შემდგომად ტანჯულმა
იხაროს საქართველომა!!

თ. რაზიკაშვილი

1891 წ.

### ქმარი

(თარგმანი)

დიდი სისულელე-კია ჩემის მხრით, მაგრამ მაინც მიკვირს! ქეთევანი ჩემის ცოლის სიყრმის მეგობარი, ეს პატიოსანი დ ყოველის სიკეთით სავსე ადამიანი, რომელთანაც კაცი თავისს თავს ისე ჰგრძნობს, როგორც თავისს ახლო ნათესავსა დ მეგობართან, დღეს შემხვდა და მკითხა, რა ამბავია თქვენს სამსახურშიო. დავაკმაყოფილე იმისი ცნობის-მოყვარეობა და ვკითხე:

— რა საჭიროა-მეთქი თქვენთვის ამის გაგება.

— ისეო, გუშინ პავლიაშვილმა დამავალა ამის შეტყობა და ამისათვის გკითხეთო.

სიტყვამ „გუშინ“ ჩამაფიქრა, საგონებელში ჩამაგდო. გუშინ, როდესაც ჩემი ცოლი ქეთევანისაგან დაბრუნდა, ვკითხე—ვინ შეგხვდნენ-მეთქი იქა და რამდენიმე დაასახელა. პავლიაშვილის შესახებ არა უთქვამსრა. მიამა, სწორედ გითხრათ, რომ პავლიაშვილი იქ არ ყოფილიყო. მე ამას იმისათვის-კი არ ვამბობ, რომ ვეჭვიანობდე! არა, ამისთანა სისულელისაგან ღმერთმა დამიფაროს! ისეთის ყოფა-ქცევისაა და უმანკო ჩემი ცოლი, რომ რაიმე ეჭვის შეტანა დიდი უსინიდისობა და სულმდაბლობა იქნებოდა! თუ პავლიაშვილი-კი მძულს, მძულს იმისათვის მხოლოდ, რომ საძაგელი ყოფა-ქცევა აქვს: ისეთ ნაირად დაუწყებს მანდილოსანს ჩურჩულს, ისეთის თვალით შეჰხედავს, რომ ძალა-უნებურად აღმიძრავს ხოლმე თავისს სიძულვილს. მეტადრე მაშინა მძულს, როდესაც ჩემს ნინოს ელაპარაკება და თვალს თვალში უყრის. ჰო-და, გუშინ, როდესაც ქეთევანმა მითხრა, პავლიაშვილი ჩვენსას იყოვო, მე სულმდაბლობა ჩავიდინე და ეჭვ-აღძრულმა ვკითხე:

— ნუ თუ პავლიაშვილმა გუშინდელი ბენეფისი დასთმო-მეთქი?

პასუხად მოველოდი: „რა სახსენებელია აქ ბენეფისიო? პავლაშვილი დღე იყო ჩემთან და არა ღამე“. მაგრამ იმან ეს არ მითხრა, მხოლოდ ცივად შემომხედა და სთქვა: „განა პავლიაშვილი ეგეთი თეატრის ტრფიალიაო?“ და სხვაზედ გადაუხვია ლაპარაკი.

ცხადია, პავლიაშვილი და ჩემი ცოლი ერთს დროსა ყოფილან ქეთევანთან; ნინომ-კი არა მითხრა-რა. დავიჯეროთ, თითონ ქეთევანმა არ იცის, რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის იმ გარემოებას, დღე იყვნენ ჩემი ცოლი და პავლიაშვილი იმასთან, თუ ღამე?! როგორღაც უზრდელობად მეჩვენა ეს გამოკითხვა და გამოძიება; მართალი რომ ვსთქვა, უფრო შევკრთი, შევშინდი და იმისათვის ვერ გავბედე. პირველად გადავწყვიტე, ყური არ მეთხოვებინა ამ საქმისთვის, დავიწყებისთვის მიმეცა. რა, ვითომ ასე არა სჯობდეს? ჩემი ფიქრები სულელურის იჭვიანობის ბრალია, იმისი შედეგია, და იჭვიანობამ-კი ამ ბოლოს დროს როგორღაც კლანჭები ჩამავლო. ფრთები უნდა შევაკვეცო და რიგიანად ვუგდო ყური ჩემს თავს. რაც უნდა მომივიდეს, მაინც არა ვკითხავ ჩემს ცოლს—ნახა სადმე გუშინ პავლიაშვილი, თუ არა!

—

წარმოიდგინეთ ჩემი სისუსტე, ვერ მოვითმინე და მაინც ვკითხე! მაგრამ ეს სხვა მიზეზის ბრალი იყო. ჩემმა ნინუცამ გასეირნება მოინდომა. გავუდეგით გზას და პავლიაშვილი-კი წინ აგვეტუზა. რასაკვირველია, გამოგვყვა და სახლამდე მიგვაცილა. არ შეიძლებოდა იმისი სადილად მი-

რო. ბევრის ლაპარაკის შემდეგ, ჩვენმა საზოგადოებამ, მოთმინებიდგან გამოსულმა, დაადო ხელი ერთს აქაურს ქურდს, რომელსაც მრავალი ქურდობა ჰბრალდებოდა, და სთხოვა სამაზრო ადმინისტრაციას, მოგვაშორეთ ეს კაცი თავიდგანაო. მას შემდეგ აგერ ორს თვეზე მეტია, მაგრამ ეს ვაჟ-ბატონი დღესაც თავისუფლად დანავარდობს. ნეტა რა უნდა იყოს მიზეზი? ან იქნება ტყუილად დასწამეს ცილი?!.

ჩვენსკენ ამ ჟამად გაცხარებული მუშაობაა. სიმინდი ისეთს უხვს მოსავალს იძლევა, რომ ზოგიერთი ვერც-კი ერევა. ბევრი წარსულ წლების ცალიერი სასიმინდე სართულამდე გამოიტენა. ასეთს უხვს სიმინდის მოსავალს, დიდი ხანია, არ მოვსწრებივართ... ლომიც თითქმის სიმინდზე გარდაჭარბებით მოვიდა. ღვინის მოსავალმაც აჯობა წინა წლებისას, მეტადრე „იზაბელამ“ დაისხა ბევრი.

*** ამ თვის 25 ვანის ქუჩაზე, ფაიაჯიანცის სახლში, ერევნის მცხოვრებელი ჰაჯი მიკირტიჩიანცმა ხანჯლით დასჭრა მუცელში ცოლი ერევნისავე მცხოვრებლისა, ანნა ბზუნიანცისა. დაჭრილი სამკურნალოში გაგზავნეს, დამნაშავე-კი შეიპყრეს.

*** ამავე დღეს ნაჯარისკაცალის ცოლი ლიდა ნეჩაევისა ნავთლუღიდამ ავლაბარში მოდიოდა, გოგილოს აბანოსთან უეცრად კლდეზე გადავარდა და მარცხენა ფეხი მოიტეხა. დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს.

## მ. გ. ძნელაძის კონცერტი

გუშინ-წინ, პარასკევს, 25 ოქტომბერს, ტფილისის საარტისტო საზოგადოების დარბაზში ახალგაზდა ქართველმა მომღერალმა ქალმა, ქ-ნმა მ. გ. ძნელაძისამ კონცერტი გაჰმართა მესკრიპკე ბ-ნ. კოლჩინის მონაწილეობით. ბ-ნს კოლჩინს ყველა იცნობს ტფილისში, არა ერთხელ მიუღია კონცერტებში მონაწილეობა და ამიტომ იმის შესახებ არას ვიტყვით. უფრო საინტერესო მოსასმენი იყო ქ-ნი ძნელაძისა, რომელიც პირველადა ჰმართავს ტფილისში კონცერტს და რომლის ხმის მოსასმენადაც მოიყარა ყველა კონცერტზედ დამსწრემ თავი.

ქ-ნს ძნელაძისას მშვენიერი დრამატიულ სოპრანოს ხმა აქვს, მდიდარი და დიდად სასიამოვნო მოსასმენი, ასე რომ საუცხოო მერმისი მოელის, თუ მისს შემუშავებას თავი არ მიანება და უპატრონოდ არ დასტოვა. ეხლავე ეტყობა, ზემო და შუათანა რეგისტრში უფრო თავისუფლად მოსდევს ხმა, ვიდრე ქვემო რეგისტრში. ხმას ძალიან ლამაზად არაკრაკებს (legato) მომღერალი და აგრეთვე დიდის ხელოვნებით, სწორედ არტისტიულად აკანკალებს (stacato). გამოთქმა საგალობელ სიტყვებისა, დიქცია ნათელი და გარკვეული აქვს. ყოველ ამ ღირსებას დაუმატეთ ლამაზი, საუცხოო გარეგნობა და სწორედ სასცენო წარმოსადეგობა და აშკარად დარწმუნდებით, რომ დიდი მერმისი მოელის ახალგაზდა მომღერალს ქალს და, თუ შრომასა და მეცადინეობას არ უკლო, საუკეთესო არტისტი-ქალი შეიქმნება.

პირველს განყოფილებაში ქ-ნმა ძნელაძისამ ლამაზად იმღერა ძნელი არია ოპერა „წინასწარმეტყველიდგან“ — „ოჰ, ჩემო შვილო!“ და შესაფერი დრამატიული ხასიათიც დასდო, დიდის გრძნობით იგალობა აგრეთვე „Non Torno“. პირველის განყოფილების დასასრულს სწორედ ალტაცებაში მოვიდა საზოგადოება, როცა მეკონცერტემ ქართულად დასძახა „გულნარა“. ისეთის გრძნობითა და ეშხით იგალობა ეს სიმღერა, რომ ტაშის-ცემა დიდხანს არ შეწყვეტილა, თუმცა საზოგადოება იმდენად ბევრი არ დაესწრო კონცერტს. მეორე განყოფილებაში დიდის მოუთმენელობით ველოდით „valse Bensana“-ს, რომელიც განცხადებაში იყო აღნიშნული, მაგრამ, არ ვიცით-კი რად, ქ-ნმა ძნელაძისამ არ იგალობა, თუმცა, ეჭვი არა გვაქვს, იმასაც მშვენიერად ჩაატარებდა. მეორე განყოფილებაში ახალგაზდა მომღერალმა ქალმა ქართულად იგალობა ლექსი გრ. ვოლსკისა „შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად“ და თავისის საუცხოო გალობით ისეთს აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, რომ დიდხანს არ მოეშვნენ და კიდევ ათქმევინეს ქართულად. უკანასკნელად მეკონცერტემ იგალობა აკაკის ლექსი „აღმართ-აღმართ“-ი, თუმცა არა იმ კილოთი, როგორითაც ჩვეულებრივად ჰგალობენ ამ სიმღერას.

კონცერტს მცირე საზოგადოება დაესწრო, მაგრამ ვინც-კი დაესწრო, ყველა ნასიამოვნები დაიშალა. გვიკვირს, ღმერთმანი, ჩვენის ინტელიგენციის საქმე, სხვაზედ რომ არა ვსთქვათ-რა: უცხო-ქვეყნელი რომ ჩამოვიდეს ვინმე, სულსა და გულს გაუშლიან, იმის სანახავად თავსა და პირს მიიმტვრევენ, და ქართველი თუ აღმოჩნდა ვინმე გალობის მცოდნე, ასე გულგრილად, ასე უყურადღებოდ უნდა მოეკიდნენ. არ ვიცით, რას მივაწეროთ ეს საქციელი ჩვენის ვითომ-და შეგნებულის ინტელიგენციისა: მიუნდობლობასა, თუ გულ-აცრუებას საზოგადოდ ყოველსავე ქართულზედ და საუკუღმართოდ მიბრუნებას პირისას. მაინც-კი, იმედია, ქ-ნი ძნელაძისა თავის ხმის მოსმენის შემთხვევას კიდევ მოგვცემს და კიდევ გაჰმართავს კონცერტს. სასურველია, რომ კონცერტი თეატრში სადმე გაიმართოს, სადაც ჩვენი ხალხი უფრო ჩვეულია სიარულს, და, ამას გარდა, კონცერტში ქართულს გალობა-სიმღერას უფრო ვრცელი ადგილი დაეთმოს, ვიდრე ამ ხელად იყო.

მ—ძე

## ნახული და გაგაგონილი პროვინციელისა.

(წერილი გურიიდან)

მართალია „წერილი დავაგვიანე და ამბავი გავაიშვიათე, მაგრამ, უნდა იცოდეთ, რომ არც მე დამმართია კარგი საქმე. ერთსა და იმავე დროს ზეცაც გამირისხდა და ქვეყანაც დამემუქრა. რისხვა ზეცისა ციებ-ცხელებად მომევლინა, ხოლო მუქარა ქვეყნისა შიშად გამიჯდა ძვალსა და რბილში, რის გამოც ძალა-უნებურად ნახულსაც თვალი ავარიდე და გაგონილზედაც ყური მოვიყრუე. ბევრჯერ თქმულა და, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ ითქმება და რამდენს ხანს სათქმელად დარჩება, რომ გაზეთის მოამბეობა ჩვენში იგივე არა მკითხე მოამბეობა არის, რასაც ყოველგან და ყოველთვის ათასნაირი საყვედური და მუქარა სდევს თანა. ჩვენი გრძნობა-გონება ჯერ იმ უბრალო განვითარებამდე არ მისულა, რომ ამა თუ იმ ადამიანისა, ამა თუ იმ საზოგადოების წუნ-ღირსებაზე თამადამ შეიძლებოდეს ლაპარაკი. ხოლო თუ ვინმემ გაჰბედა, თუ რომლისამე ადამიანის წუნ-ღირება, რომლისამე სოფლის ჭირი და ვარამი გაზეთის საშუალებით ქვეყანას აცნობა, შენი მტერია, რაც იმას საქმეს დაჰმართებენ! საყვედურს და მუქარას ვინლა სჩივის, თუ რომ კორესპონდენტი, იმათის აზრით, ეს არა მკითხე მოამბე, მიუბეგველი გადაარჩინეს. ამ გვარად კორრესპოდენტს მუდამ ძილი დამფრთხალი და მოუსვენებელი უნდა ჰქონდეს, ხოლო თუ რაიმე ნუგეში ენუგეშება იმისს უნუგეშო ყოფა-ცხოვრებას, მარტო ის, რომ ნეტარ იყვნენ დევნულნი სამართლისათვის“-ო, რაიცა, ბრძანა მაცხოვარმა.

საქმე ის არის, რომ ჩვენში თავისთავი ყოველს კაცს ფრთა შესხმული ანგელოზი ჰგონია, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ყოველს კაცს უნდა, რომ ის სხვებმა ფრთა-შესხმულ ანგელოზად ჩასთვალონ. ამ ნაირად არავინ არავითარს ცოდვასა და ბრალში თავს არა სდებს. რასაკვირველია, ასეთს ხალხსა და ქვეყანაში მოწონება და პატივის-ცემა ისეთს კაცს აქვს, რომელსაც დიდი უნარი და მოხერხება აქვს ორ-პირობისა, პირფერობისა, ქალაჩუნობისა. ხოლო ყველა ის, ვისაც მართლის თქმა ჩვეულებად გადაქცევია, ვისაც გულის ფიცარზე დაუწერია, რომ

აქს თუ აქი არ ვუწოდო,
კარგს სახელად რა დავარქო-ო,

ხალხისა და ქვეყნის მიერ ათვალწუნებული, პატივ-აყრილი და განკიცხულია. ამიტომაც არის, რომ ჭკვიანს კაცს უთქვამს: „სიმართლეს ცოტა მუშტარი ჰყავს“-ო. რა თქმა უნდა, რომ სულ არარაობას ცოტა სჯობია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში არც ეს „ცოტა“ არის. მაგრამ ეჰ!.. დავსდოთ საცო პირსა ჩვენსა და კარი ძნელი ბაგეთა ჩვენთა და მხოლოდ ესა ვსთქვათ გულ-დაწყვეტით: „მენო კაცთანო, ვიდრემდის გულ-ფიცხალ ხართ, რად გიყვარსთ ამაოება და ეძიებთ სიცრუესა“? თორემ ამ გაუკუღმართებულსა და გაქალაჩუნებულს დროში ძნელია კაცი გადურჩეს შხამსა ცილის წამებისასა. ცილის წამება, რომლის შხამი გველის შხამზე უძლიერესი და უსაშინელესია, ამ ჟამად გადამდებ სნეულებასავით მძინვარებს ჩვენში. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სენი ერთბაშად მოუღებს ბოლოს ადამიანს, ხოლო ცილის წამება ზეზეურად აღნობს და აჰკნობს იმავე ადამიანს, რომელსაც სიკვდილი მაინც სიკვდილად მოელის.

ყოვლისავე ამის შემდეგ იმედია, მომიტევებთ, რომ ამბები დავაგვიანე. აწ რამდენადაც შევიძლებ და მოვახერხებ განვაგრძობ ერთხელვე ნაკისრს საქმეს.

ყველაზე მეტად ამ ქვეყნად მიწყრება და მირისხდება ის ლანჩხუთი, რომლის ავ-კარგი ორიოდე უკბილო სიტყვით ამას წინად მოვიხსენიეთ. ხოლო საკვირველი ისაა, რომ მე რაც ვილაპარაკე, დაბის შესახებ ვალაპარაკე, ჩემ წინაღმდეგ-კი დაბამაც გამოილაშქრა. სოფელმაც, საზოგადოებამაც, ერთის სიტყვით, ყველაფერმა, რასაც-კი ლანჩხუთის სახელი აცხია. მერე გამოლაშქრებაც არის და გამოლაშქრებაც! აღადგის ჩემზედა პირი მათი, კითარცა ლომმან მტაცებელმან და მყვირალმან. სამჯერ ჰქონდათ კრება, სამჯერ გამასამართლეს და სამჯერვე სასტიკი სასჯელი გადამიწყვიტეს, მაგრამ რადგანაც სასჯელის აღმასრულებელი არავინ იყო, ბოლოს ისევ ის გადასწყვიტეს, რომ, თუ ვინიცობაა, ოდესმე გაჰბედოს და მოვიდეს ჩვენში, დავუსტვინოთ, დავუკივლოთ და ამ გვარად გავაბიაბრუოთო. როგორც ჰხედავთ, მეტის მეტად მახვილის მოსაზრებისა და გამჭრიახის გონების პატრონნი არიან ლანჩხუთელები, თორემ სხვას ვის მოუვიდოდა ფიქრად ეგ ყოვლად დარბაისლური, ეგ ყოვლად პატიოსნური განზრახვა!?

ალბად ამ ჟამად ლანჩხუთელები თავიანთს ხმას სტვენისა და კივილში ავარჯიშებენ, რომ მათგანვე გადაჭრილი სასჯელი ოდესმე დიდებულად შეასრულონ ჩემზე.

O, tempora'o, mores!

კიდევ ვიტყვით, რომ ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიაო! კიდევ ვიტყვით, რომ ზნეობრივად და გონებრივად ჩვენი ხალხი წინ მიდისო! კიდევ ვიტყვით, რომ ბეჭდვითს სიტყვას ჩვენში მნიშვნელობა და პატივის-ცემა აქვსო! რის მნიშვნელობა და პატივის-ცემა, რის

---

უწყევლობა. ყველა ეს ჩვეულებრივი ამბავია და გასაოცარი და გასაკვირველი არა არის-რა, მაგრამ მე მაინც იმან გამაოცა, რომ ამინდი მაგდენად კარგი არ იყო და ჩემმა ცოლმა გასეირნება-კი მოინდომა. ვინ იცის, შესაძლებელია, ნინოს გუშინვე მიეცეს პავლიაშვილისთვის პირობა, ხვალ სასეირნოდ გამოვალო, რა არის, შევხვდეთ შემთხვევით და სადილად მივიწვიოთო. თქმა არ უნდა, ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ჩემი ცოლი გულ-წრფელი არ არის ჩემთან, თუ არ ვუყვარვარ. ამას-კი როგორ დავწამებ! დიდი სულმდაბლობაა, კაცმა ამისთანა აზრი გაიტაროს თავში, მაგრამ ისიც-კი შესაძლებელია, რომ ჩემმა ნინუცამ იცოდეს, რომ პავლიაშვილი არ მომწონს, და, მაშასადამე, დამნაშავე მევე ვარ, რომ თვალებს მიბავს, მატყუებს. როდესაც კაცი საძაგელის იჭვით არის გამსჭვალული, ყოველი საგანი და ნივთი სულ უკუღმა ეჩვენება!

სადილზედ პავლიაშვილმა სთქვა — თეატრში მივდივარო. მე გულ-წრფელად და ალერსიანად ვკითხე ჩემს ნინუცას, ხომ არ წახვალ-მეთქი, და დავუმატე: „მე მგონია, ლოჟას ვიშოვით და წადი-მეთქი“. იმან ცივი უარი მითხრა, მაგრამ ისეთის სინაზით, ისე უბრალოდ, რომ ძალზედ გამეხარდა, სიხარულით ცას დავეწიე, იჭვი და შიში სულ დამავიწყდა და, რომ უფრო უკეთ დავმშვიდებულიყავ, პავლიაშვილი რომ წავიდა, ალერსიანად ვუთხარ.

— იქნება შენა გგონია ეჭვი რამ შემომაქვს პავლიაშვილის შესახებ? რატომ არ მითხარი, რომ ქეთევანთან შეხვდით შენა და ის გუშინ?

ამ სიტყვების გაგონებაზედ ცეცხლივით აენთო, თოფის წამალივით იფეთქა:

— განა არ გითხარ? გითხარ, მაგრამ დაგვიწყებიაო.

მერე აღელვებით წარმოსთქვა:

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა, რომ შენ რაღაც ეჭვის თვალით უყურებ პავლიაშვილს და გძულს!.. რით უნდა აიხსნას, თუ არ იჭვით, ეს შენი სიძულვილი?.. ის ვისზედ რა ნაკლებია, ნეტავი ვიცოდე? კარგად იცი, რომ შენთვის თავის დღეში არ მომიცია მიზეზი აგეთის ეჭვის თვალით ყურებისა და ამას შემდეგ ნულარ გაგიკვირდება, რომ შენი მაგგვარი საქციელი მეწყინოს... ის-ღა გაკლია, რომ ყოველს ჩემს ფეხის გადადგმას თვალ-ყური ადევნო და გამოიძიო, ვის როდის შევხვდი, სად და რის შესახება გვქონდა ლაპარაკი!... მაგგვარს საქციელს ის მოჰყვება, რომ, შენი გადამკიდე, სხვებიც, ვინ იცის, რას არ იფიქრებენ და რას არ მოაჭორებენ?...

სული ყელში მოებჯინა, ცრემლით აევსო თვალები და თეთრ-წითელი ლოყები დაესერა. ვგრძნობდი, ჩემს სულ-მდაბლობას, ავ-კაცობასა და ჩემი თავი მევე შემძულდა. არ ვიცი, რა სასყიდელს არ გავიღებდი, რა სასჯელს არ ვიკისრებდი, რომ ჩემი სისაძაგლე რითიმე მომენანიებინა! რისთვის ვაწყენინე საყვარელს არსებას? რისთვის მივაყენე დაუმსახურებელი შეურაცხება, რომელმაც უანგარიშოდ აფრქვევინა ცრემლი და გული დაუთუთქა!

იგი გამებუტა და გადგა განზე. მეც ველარ გავუბედე ლაპარაკი, შევედი ჩემს ოთახში და დასამშვიდებლად და გასართობად მუშაობა დავიწყე, მაგრამ თავი არა მუშაობდა, გრძნობას დაეყუჩებინა და დაეჩლუნგებინა. ჩაი შემოიტანეს. ისიც შემოჰყვა მოსამსახურეს და გულ-ჩათხრობილმა, ნაღვლიანის კილოთი მკითხა:

— სამუშაო ბევრი გაქვს? დღეს შინ დარჩენას ხომ არ აპირობ?

— რა, წასვლა ხომ არსად გინდა?

— კიბორჩხალაძიანთა წავიდეთ, თუ შეგიძლიან. ხუთშაბათობით ბანქოს თამაში და ცეკვაა ხოლმე იმათსას გაჩაღებული. სულ გადამავიწყდა და ეხლა მომაგონდა.

— წავიდეთ, თუ გინდა-მეთქი, ვუთხარ და ვიფიქრე, გული მოიბრუნა, შემირიგდა-მეთქი.

მომიახლოვდა ნინო და ალერსიანად თავზე ხელი გადამისო.

— კარგია, შევრიგდეთ, აღარა ვჯავრობ... მითხრა და ცეცხლისმფრქვევის თვალებით შემომხედა. მარტო იმასა გთხოვ, მოიშალო ეგ საძაგელი ხასიათი და თავიდგან მოიცილო იჭვიანობა! სწორედ გითხრა, გულს მიკლავს შენი იჭვიანობა. დასწყევლა ღმერთმა, გული როგორღაც დახურული მაქვს... იმისთვის უფრო მინდა კიბორჩხალაძიანთა წამოსვლა, იქნება ხალხში გავერთო და გაიაროს. საქმე ბევრი ხომ არა გაქვს? არ მინდა რომ ჩემის გულისათვის საქმე დაგრჩეს. მართალა, იცი რა გითხრა? შენ შეგიძლიან ცოტა გვიანაც მოხვიდე: პირველზედ, ან ორზედ. ხომ იცი, ისინი ადრე არავის გამოუშვებენ.

მოვხვიე ხელი და მკერდზედ მივიკარ. ბედნიერებითა და კმაყოფილებით აღვსილმა ვედრება დავუწყე:

— მაპატიე, შენ გენაცვალე-მეთქი!

პირველს საათს აღარა უკლდა-რა, როცა კიბორჩხალიაანთსას მივედი. ავედი კიბეზედ და დავინახე ჩემი ცოლი, რომელიც გაჩქარებული მიდიოდა ჩემ წინ. მართალია, კარგა მოშორებით იყო, მაგრამ მაინც ვი-

გონებრივი და ზნეობრივი განვითარება, რის მეცხრამეტე საუკუნის მიწურული, როცა არავინ იმას არ დაგიდევს, მართალს ამბობ, თუ ტყუილს, როცა ყველა მუშტზე იცქირება, როცა ყველა იმას სცდილობს, რომ თავისი მიწიერისა და ბიწიერის ძლიერებით შენი უმანკო და უზადო გულის-თქმა, შენი უანგარო და გულ-უბრყვილო ანგარიშები გაანადგუროს და გააქარწყლოს...

მაშ რანი ვართ და რის მაქნისნი ვართ, თუ ორიოდე მართალის სიტყვის თქმისთვის ჯვარზე გაგვაკვრენ? რა ჯანდაბა და დარდუბალაა ჩვენი დრო, თუ-კი სიმართლე ნიადაგ დევნილი და ყვედრილი, ნიადაგ ექსორია-ქმნილი და განკიცხუთი იქნება? როდის იქნება, რომ ჩვენმა ქვეყანამ ქაჩლობას თავი დააღწიოს, და თავის გამვარცხნელი აღარა სძულდეს? მაგრამ ეჰ!.. მეც რას მიველებ-მოველები!...

ხომ ვიცით, თქმულა ბრძენთაგან, —
საწუთრო კაცს არ ინდობსო:
ნუ მოინდომებ სამოყვროდ,
არც გიმმობს არცა გიდობსო,
თავს მოგაჩვენებს სიწმინდით,
მაღლიეთ არა წმინდობსო.

**

საწუთროს დაუნდობლობა ბევრს ფრიად სასიკეთო საქმეს უღებს ბოლოს, ბევრს სასიკეთო აზრს აკვეცს ფრთებს, მაგრამ გაზეთ „თეატრის“ აგრე უდროვოდ დამარხვა, ჩემის აზრით, არც საწუთროს დაუნდობლობას მიეწერება და არც ბედის დაუდგრომლობას. „თეატრის“ საიქიოს გასტუმრება ჩვენის უგერგელობისა და უთავ-ბოლოპის ბრალია. ხოლო ვაი ჩვენი ბრალი, რომ ვერც ერთს ამას ვერ ვამჩნევთ და მაინც ვყოყოჩობთ და მამალვყინწავობთ! დავსკუპდებით ხოლმე ხარის რქაზე და გაეიძახით „ჩვენ ჯხნავდითო“. თუ არ ეს, მაშ რა მიზეზია, რომ „თეატრი“ აგრე დაუტირებლად ჩაგვაკვდა ხელში? ხოლო რა-კი დაუტირებლად ჩაგვაკვდა, ეს იმას ჰმოწმობს, რომ ამ უბედურს ვარსკლავზედ დაბადებულს გაზეთს პატრონი და მომვლელი არ ჰყავდა. გაზეთის პატრონობა, გაზეთის საქმის გაძღოლა და წარმოება ყოველგან და განსაკუთრებით ჩვენში რთული საქმეა, ხოლო რთულს საქმეს რთული და ერთობლივი შრომა და თავის შეტკივება ეჭირვება. ხოლო ჩვენში რთული შრომა-კი არა, მარტივ საქმისათვის გამძღოლიც იშვიათია. ამ სიიშვიათეს გარდა, ისიც სათქმელია, რომ ჩვენში ჟურნალ-გაზეთის მოთხოვნილება ძლიერ ცოტაა. ეს სიცოტავე-კი იმის ბრალია, რომ დაბალი ხალხი ვერა კითხულობს გაზეთს. ან-კი რა წააკითხებს გაზეთს, როცა ან კითხვა არ იცის, ან და, თუ იცის კითხვა, გაზეთში თავის საკბილოს ვერაფერს შეხვდება. ამ ნაირად ქართულს გაზეთს მკითხველად მხოლოდ მცირეოდენი დაურჩა, რომელიც უქართულ გაზედოდაც იოლად მიდის, ხოლო თუ იბარებს ქართულს გაზეთს იმავე მიზეზით იბარებს, რა მიზეზითაც ქართულს ჩოხას იცვამს. მოსალოდნელია, რომ ამ გვარ მკითხველთა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ამ გვარ დამბარებელთა რიცხვიც თან-და-თან შეუმცირდება ქართულს გაზეთს და მაშინ ხომ მტრის გულისად გავხდებით.

მაშ პირველი და უკანასკნელი ღონის-ძიება იმისა, რომ ჩვენის გაზეთის საქმე ხეირიაიად მოეწყოს, ისაა, რომ დაბალს ხალხს ჰქონდეს გაზეთთან საქმე. ამისთვის-კი საჭიროა, ხალხმა კითხვა იცოდეს. მერე ვინ უნდა ასწავლოს ხალხს კითხვა? ეს ისეთი საკითხავია, რომელსაც, რა საგანზედაც უნდა დაიწყო ჩვენში საუბარი, ვერ ასცდები, მაგრამ რომელსაც არავითარს ყურადღებას არ აქცევენ. ეგ არის სახალხო სკოლები, ეგ არის პირველ-დაწყებითი საქმის მოწყობა ჩვენში, ეგ არის ის საძირკველი და ის საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს და დამყარდეს მომავალი ჩვენის სწავლა-განათლებისა, ჩვენის ლიტერატურისა და სიტყვირებისა, ჩვენის გონებრივისა და ქონებრივის განვითარებისა. მაშასადამე, თავდა-პირველად, ვიდრე კედლის აშენებას შევუდგებოდეთ, საძირკვლის სიკეთესა და სიმაგრის შესახებ უნდა ვიფიქროთ და ვიღონოთ რამე.

ამ ჟამად ეს ვიკმაროთ, ხოლო შემდეგ, რამდენადაც შეიძლება და მოვახერხებ, გავარკვევ სახალხო სკოლების სიკეთესა და სიმაგრეს, იმ მხრით, რა მხრითაც, რასაკვირველია, ჩვენ ის გვეჭირვება.

დათიკო ვერმიშანაშვილი

## რუსეთი

რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ, ხორბალს გარდა, სხვა ჰინახულის „საზღვარ გარედ გაგზავნა უეჭველად აიკრძალებაო“. თუ ეს ამბავი გამართლდა, ეჭვი არ არის, ამ განკარგულებას დიდი მნიშვნელობა ექმნება რუსეთის მეურნეობისა და ვაჭრობისათვის. კითხვა არ უნდა, რომ ხსენებული განკარგულება ისეთის გარემოებით არის გამოწვეული, რომლის გულისთვისაც სხვა საქმე, მაგალითად რუსეთის საზღვარ გარეთთან ვაჭრობის დაქვეითება, უფრო ადვილი დასათმობია, მაგრამ ისიც-კი უნდა სთქვას კაცმა, რომ, თუ მართლა რუსეთის წლევანდელს სამწუხარო მდგომარეობის საშველად ეს განკარგულება ასე საჭირო იყო, უკეთესი იქმნებოდა ხსენებული განკარგულება რუსეთის ყოველგვარს ჰირნახულზე და ერთსა და იმავე დროს მოხდენილიყო. ამ ორის თთვის წინად რუსეთიდგან ჰვავის გატანის აღკრძალვამ ერთბაშად ფასი მოუმატა ჰირნახულს საზღვარ გარედ და ამასთანავე მეტი მოთხოვნილებაც გამოიწვია რუსეთის ჰინახულისა. ეს იმიტომ მოხდა, რომ საზღვარ გარედ ეშინოდათ, ვაი თუ მალე სხვა ჰირნახულის გამოტანაც აკრძალონ რუსეთიდგანაო და სჯობს, ახლავე, ვიდრე დრო გვაქვს, რაც შეგვიძლიან, მეტი ჰირნახული გამოვზიდოთო. ტამოჟნის ცნობებიდგანა სჩანს, რომ ხსენებულ აკრძალვის მიუხედავად, წლეულს შარშანდელზედ გაცილებით მეტი ჰირნახულია გატანილი საზღვარ გარედ. 6 ოქტომბრამდე საზღვარ გარედ 295 მილიონი ფუთი ჰინახულია გატანილი, შარშან-კი მხოლოდ 283 მილიონი ფუთი იყო გაგზავნილი. განსაკუთრებით შარშანდელზედ მეტი შვრია და სიმინდია გატანილი საზღვარ გარედ. წლეულს 42 მილიონი ფუთი შვრია გაუტანიათ, შარშან-კი მხოლოდ 38 მილიონი ფუთი. სიმინდი წლეულს 20 მილიონი ფუთია გატანილი, შარშან-კი 12 მილიონი იყო ე. ი. წლეულს თითქმის ერთი-ორად უფრო მომეტებული. მაშ თუ ასე საჭირო იყო ჰირნახულის რუსეთში შენახვა და საზღვარ გარედ გატანის აკრძალვა, განა უფრო სასარგებლო არ იქნებოდა, რომ ეს განკარგულება დროით მომხდარიყო და ამოდენა გატანილი ჰირნახული რუსეთში დარჩენილიყო?

— მრავალ ნაირი პროექტი იწერება რუსეთში იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით დავეხმაროთ რუსეთის დამშეულს ხალხსაო. ზოგი ამ პროექტთაგანი ადამიანის კეთილს გრძნობასა, მოყვასის სიყვარულსა და შებრალებაზეა დამყარებული, ზოგს-კი მხოლოდ კეთილ-გონიერება აქვს საფუძვლად. ამ უკანასკნელს პროექტთა დამწერნი საბუთიანად ამტკიცებენ, რომ გლეხ-კაცის გაჭირვებას, უეჭველია, დიდი გავლენა ექმნება სხვა წოდების კაცთა მდგომარეობაზედაცაო. ერთი ამ გვარი პროექტი, რომელიც ადამიანის კეთილს გულზედ არ არის დამყარებული და მხოლოდ კეთილ-მოსაზრება აქვს საბუთად, პეტრეს აკადემიის პროფესორების კულეშოვისა და შიშკინის მიერ არის გამოცხადებული გაზეთს Московск. Вѣд.-ში. ეს პროექტია „უსარგებლო სესხით ბილეთების გამოცემა“. ამ პროექტით სახელმწიფომ უსარგებლო ბილეთებზე უნდა გამოსცეს. ბილეთები სხვა-და-სხვა ფასისა იქნება, 25 მანეთიდამ მოყოლებული 5,000 მანათამდე. ამ ბილეთების დაგირავება შეიძლება 25% დაკლებით და რამდენისამე წლის (მაგალითად 3-ს ან 5-ს წლის) შემდეგ სახელმწიფო გადაიხდის ამ ბილეთების ფასსა. ამ ნაირად, ეჭვი არ არის, რომ ვისაც-კი სურს დამშეულს ხალხს ხელი მოუმართოს, უეჭველად იყიდის ამ ბილეთებსა, რადგანაც იმაში მიცემული ფული არ დაიკარგება და შემდეგში სრულად დაიბრუნებს თავისს ფულსა, თუმცა უსარგებლოდ-კი.

## გასართობი

ჩიკაგოში ყოფნის დროს სარა ბერნარს შემდეგი ახირებული ამბავი შემთხვევია. წარმოდგენის დროს, როცა სარა ბერნარი სცენაზედ ყოფილა, ვიღაცა იმისს მოსართავს ოთახში შესულა და კარსეტი მოუპარავს. თეატრის მოსამსახურენი სცენაზედ და კულისებში ყოფილან სარა ბერნარის თამაშობის ნაყურებლად და ამიტომ არავის შეუმჩნევია ეს ქურდობა. სარა ბერნარს ეს ამბავი ძლიერა სწყენია, ჩიკაგოს პოლიციის დირექტორისთვის საჩივარი მიურთმევია და თანაც გამოუცხადებია, ვინც ჩემის კარსეტის მომპარავს აღმოაჩენს, კარგს საჩუქარს მიიღებს ჩემგანაო. მეორე დღეს თეატრის გამგეობას მიუღია ფოსტით 200 მანათი ფული და შემდეგი ბარათი: „სარა ბერნარის კარსეტი მოიპარა ერთმა ამერიკელმა, რომელიც ამ ფულს უგზავნის სარა ბერნარს კორსეტის ფასად, ხოლო მოპარული კარსეტი-კი კოლექციაში შეინახა მე 311 ნომრითაო.“

**

გამოჩენილს მეცნიერს ვირხოვსა და გრაფს ბისმარს, რომელიც იმ დროს ჯერ მხოლოდ მაიორი იყო, წინადამ დუელი არ მოსვლიათ ერთმანეთთან, მაგრამ საქმე კეთილად გათავებულა. აი როგორ მომხდარა ეს ამბავი: ბისმარკი ერთს ლუდხანაში შესულა და რამდენიმე რადიკალი უნახავს. ამათში ვირხოვიც რეულა. ბასმარკს არ მოსწონებია იმათი ყაყანი, გაჯავრებულა, აუღია ლუდის ჭურჭელი და უსროლია რადიკალებისთვის. ამტყდარა ერთი ალიაქოთი.

მეორე დღეს ბისმარკს ორი სეკუნდანტი გაუგზავნია ვირხოვთან, როგორც რადიკალების მოთავესთან. ვირსოვი იმ დროს თავისს სამუშაო ოთახში მჯდარა, სტოლზე ღორის ხორცის „პრეპარატები“ ჰლაგებია ძეხვი, ლორი და სხვ. იქვე გამადიდებელ შუა და არყის მაგიერად დაწმენდილი წყალი რომ არა მდგარიყო შუშებით, კაცს ეგონებოდა, ვირხოვს სტუმრები მოუწვევია არყის გადასაკვრელადაო. სეკუნდანტებს ვირხოვისათვის გამოუცხადებიათ, ბისმარკი დუელში გიწვევსო. ვირხოვს გადაჭრილი უარი უთქვამს:

—აი რა მოგახსენებთ, ბატონებო, უთქვამს ვირხოვსა: თუ დუელი იმიტომ გინდათ, რომ ერთმა ჩვენთაგანმა მეორე საიქიოს გასტუმროს, ჩვენს შორის დუელი დიდი უსამართლობა იქმნება. მე ჩემს სიცოცხლეში ხელში იარაღი არ ამიღია, მაიორი-კი, რა თქმა უნდა, დახელოვნებული იქმნება იარაღის ხმარებაში. მაგრამ თუ ბისმარკს უეჭველად ჰსურს, რომ დუელში გავიდე იმასთან, აი რას მოგახსენებთ: აი ეს ორი ძეხვი, ერთი სრულიად საღია და ადამიანის კუჭისთვის უვნებელი, მეორე-კი სულ „ტრიხენებით“ არის სავსე, მობრძანდეს თქვენი მაიორი, კენჭი ვიყაროთ, თითო ჭიქა ლუდი გადავკრათ და ეს მოწამლული ძეხვი იმან შეატანოს ლუდს, ვისაც კენჭი ერგება. ერთი ჩვენგანი ცოცხალი დარჩება და მეორე-კი უეჭველად საიქიოს გაემგზავრებაო.“

ბისმარკს, რასაკვირველია, უარი უთქვამს ამ ნაირს დუელზე.

**

ამ ოთხის წლის წინად ერთს ახალგაზდა კაცსა და ქალს ოდესაში ჯვარი დაუწერიათ და შემდეგ პარიჟში წასულან. ცოლქმართ

---

ცან. ვიცან იმისი წერწერტი ტანი, მისი კაბა, იმისი ფეხსაცმელი... ავიდა მაღლა, შედგა ცოტას ხანს, გადმომხედა და შევარდა ოთახში. ეჭვი არ არის, ის იყო, ის...

რას უნდა მივაწერო ეს ამბავი? სამის საათით ჩემზედ ადრე წამოვიდა და სად უნდა ყოფილიყო აქამდე?

სისხლი მეცა თავში; ხელები გამიცივდა. კიდეც მრცხვენოდა, კიდეც მეშინოდა სარკეში ჩამეხედნა და ჩემის თავისთვის შემეხედნა... ვინ იცის, რა სისულელემ არ გამიარა თავში... გულ-დაწყვეტილი და სულით დაცემული შევედი დარბაზში. დავიწყე მისი თვალიერება, მაგრამ თვალი ვერ მოვკარ.

გაიარა ათმა წამმა. ვნახოთ, საპირფარეშო ოთახიდგან გამოვიდა და ისეთ ნაირად დამიწყო ყურება, თითქოს ერთის შეხედვით უცებ უნდა ჩემის აზრის შეტყობაო... მე მგონია, თავისს დღეში არ დამავიწყდება ის გაუბედაობით და გოცებით გაღებული ბაგენი, რომლითაც რიღასიც თქმას აპირებდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა. ისეთ ნაირად იდგა დარბაზში, გეგონებოდათ, აღარ იცის, საით წავიდესო, წინა, თუ უკან, დარჩეს დარბაზში, თუ გაიქცეს, გულწასული დაეცეს იატაკზედ, თუ მედიდურად, ამპარტავნულად აიმართოს წელშიო.

— ეს რა ამბავია? განა შენც ეხლა მოხვედი-მეთქი! ვკითხე ხმის კანკალით.

კმაყოფილების ფერმა გადაჰკრა სახეზედ, განცვიფრება და გამოურკვეველი მდგომარეობა გამბედაობად შეეცვალა.

— ვერ წარმოიდგენ, რა უბედურება შემემთხვა: მეეტლე მთვრალი თურმე იყო, ვიღასაც ეტლს დააჯახა თავისი ეტლი, მე გულ-გახეთქილი გამოვვარდი და, რაღაც ღვთის განგებით, ასე უვნებლად გადავრჩი. კინაღამ გული წამივიდა. ქეთევანთან შევედი და იქ, როგორც იყო, დავიმშვიდე გული და ტანისამოსი გავისწორე. ნუ შეგეშინდება, არა მტკენია-რა. ნერვები ამეშალა და გულის კანკალი მაქვს მხოლოდ... ესეც მალე გაივლის, არა უშავს-რა...

როგორც ეტყობა, ძალიან გაფითრებული ვყოფილვარ, რომ ნინუცამ გამამხნევებელისა და დამამშვიდებელის ღიმილით მომმართა:

— კარგია, ჰო, ნუ ჰღელავ! ნურც არავის ეტყვი ამ ამბავს, თორემ, ხომ იცი, თავს მომაბეზრებენ ნუგეშით.

მითხრა ეს და რაღაც გამოურკვევლად დამიწყო ყურება.

— ვინ დაიქირავა ეტლი-მეთქი?— ვკითხე და სული ყელში მომებჯინა, ლაპარაკი ვეღარ მომეხერხებინა.

— მე თვითონ დავიქირავე: ბედზედ ცარიელმა გამოიარა, როცა შინიდგან გამოვედი... მართლა, მასპინძელი და სტუმრები ჯერ არ მინახავს...

სთქვა და გავიდა სასტუმროში დიასახლისის სანახავად.

კინაღამ გადავირიე. ერთი ჭკუიანური, ნათელი აზრი ვერ მომეთავსებინა თავში: დომხალიაით მქონდა ყველაფერი არეული; აღარა გამეგებოდა-რა. ეტლი, მთვრალი მეეტლე, ქეთევანი, დაჭმუჭნული კაბა... იქნება, იმისი ნათქვამი მტკნარი სიცრუეა?! იქნება მოიგონა, საპირფარეშო ოთახში შესთხზა?!... ყველაფერი წარმოვიდგინე, როგორც შესაძლებელი იყო, როგორც უნდა მომხდარიყო, და კიდეც ეს მაცივ-მაცხელებდა, ესა მკლავდა და მრევდა!...

მივეყუდე ბუხარს და უაზროდ დავიწყე თვალების ცეცება და ყურება. ვიღაც მომიახლოვდა და ლაპარაკი დამიწყო, მაგრამ რას ამბობდა, არ მახსოვს; აღარც ის მახსოვს, რამდენს ხანს ვიყავ ამ მდგომარეობაში. როცა ცოტა გამოვერკვიე და მსჯელობა დამიბრუნდა, მაშინ შემომესმა ლაპარაკი რამდენისამე ყმაწვილის კაცისა, რომელნიც მომღერალ ქალისა და იმის მიერ აღტაცებულ საზოგადოების შესახებ ბაასობდნენ. მეც ავყე ფეხის ხმას და ლაპარაკში ჩავერიე.

— ვინ იცის, პავლიაშვილი გააგიჟა იმ მომღერალმა ქალმა მეთქი, ვსთქვი უცაბედად.

— პირ-იქით, ყველანი იმან გაგვაოცა, რომ პავლიაშვილი დღეს თეატრში არ იყოო, მითხრა ერთმა მათგანმა.

ჩუმად გავილიმე (რად გავილიმე ნეტა?) და დარბაზში შევედი. ჩემი ცოლი ვიღაც უცნობთან სცეკვავდა. კარებში შევდეგი და ყურება დავუწყე. ვიდეგ და სულ ერთსა და იმავეზედ, ჩემს დარდსა და ვარამზედ—ლა ვფიქრობდი. ვაკვირდებოდი ჩემის მეუღლის ყოველს მოძრაობას, იმისს დაჭმუჭნულს კაბას, იმისს ყვავილებს... იქვე ჩემს შორი-ახლო სცეკვავდა და ხან-და-ხან აღშფოთებული და შეწუხებული გადმომხედავდა ხოლმე ცალის თვალით. გულ-დაწყვეტილი, გაბრუებული შევყურებდი მეც იმისს საჩქაროდ დავარცხნილს თმას... მზად ვიყავ, მიწასთან გამესწორებინა, მომეკლა, დამერჩო, მინდოდა წინანდებურად სულით და გულით მყვარებოდა, სულ იმის სიამოვნებისთვის-ღა მეფიქრა და მეზრუნა...

ღმერთო ჩემო, რა მემართება?... რა ვარ ეხლა? იჭვით გაგიჟებული და შეშლილი, თუ საბრალო, უსინათლო ქმარი, რომელსაც დაცინვასა და კილვას დაუწყებს ეს ბედნიერი და გულ-დამშვიდებული ხალხი!!...

ერეკლე

მალე შემოლევიათ პარიჟში საცხოვრებლად ფული. ქმარს ქალის მზითევი სულ ერთიანად გაუფლანგავს და ახლა მეორე ცოლის შერთვა განუზრახავს. ცოლი, როგორც ყოფილა, დაუყოლებლია და დროებით რუსეთში გამოუგზავნია მშობლებთან. შემდეგ წასულა პარიჟის ახალგაზდა ქალთა და კაცთა შემაუღლებელს კანტორაში და გამოუცხადებია ცოლის შერთვის სურვილი. კანტორას მალე აღმოუჩენია იმისთვის საცოლე, რომელსაც ათასი თუმანი ჰქონია მზითვად. ახალგაზდებს ერთმანეთი მოსწონებიათ. კაცს მხოლოდ უცოლობის მოწმობა-ღა სჭირდებოდა თურმე, მაგრამ ისიც მოუხერხებია: ხუთი კაცი წაუყვანია ნოტარიუსთან და იმათ შეუმოწმებიათ, ეს კაცი უცოლოაო. გადუწერიათ ჯვარი, მაგრამ რამდენისამე დღის შემდეგ ქმარს მოუსვამს პარიჟიდგან და ათასი თუმანი ცოლის მზითევიც, რასაკვირველია, თან გაუყოლებია. ცოლს პოლიციისათვის შეუტყობინებია, მაგრამ იმისი ქმარი ვერსად ევრ უპოვნიათ. პირველს ცოლსაც რუსეთში ყოფნა მოსწყინდა თურმე, პარიჟში წავიდა და მივიდა ქმრის სახლში, სადაც იმისი მეორე ცოლი დაუხვდა.

— ბ-ნი შ. აქა სდგას?

— მერე რა გესაქმებათ?

— როგორ მიბედავთ მაგ კილოთი ლაპარაკს? ბ-ნი შ. ქმარია ჩემი!

— უკაცრავად., შ. თქვენი-კი არა, ჩემი ქმარია!

— მაშ მე იმის პირველი ცოლი ვყოფილვარ.

— მე-კი მეორე.

ქალებმა ერთმანეთს თავის გულის პასუხი აუხსნეს თურმე და ერთად შეუდგნენ დაკარგულ ქრმის ძებნას, მაგრამ ჯერაც ვერ უპოვნიათ.

---

## დეპეშა

24 ოქტომბერს

**პეტერბურგი.** გუშინ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებისა და თანამგზავრებითურთ კერძო ფლოტის გემით „Орелъ“-ით სევასტოპოლიდგან ლივადიაში მიბრძანდნენ.

გუშინ რკინის გზების წარმომადგენელთა საზოგადო კრებამ საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ რუსეთის ყოველს რკინის გზაზე ერთგვარი საზოგადო ტარიფი იქმნას შემოღებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რა განსხვავებასაც ფინასთა მინისტრი სცნობს საჭიროდ.

**ვლადიკავკაზი.** დღეს, განთიადისას, სიკვდილით დასაჯეს საფრანგეთის ფლოტის აფიცრის რუსსელის სამი მკვლელი.

**თეირანი.** მაზანდერინის ოლქის ერთს სოფელში, მღვდლების წაქეზებით, ხალხმა გადასწვა სახლი გენერალის საოდათ-ყული-ხანისა, ხოლო თვით გენერალი და 20 სხვა კაციც მჰკლა. ამ არეულობას რელიგიური ხასიათი აქვს და ხსენებულს ოლქს არ გასცილებია. დღეს ამბოხების ადგილას მიემგზავრება საოდედ-დაულე 500 ცხენოსანის ჯარის კაცით წესიერების აღსადგენად.

**რიო-ჟანეირო.** კონგრესი დაიშალა. ომის რდოის წეს-რიგი შემოაღეს და დიქტატურა კვლავ აღადგინეს.

**პეტერბურგი.** 25 ოქტომბერს. „Нов. Вр.“-ს გაუგონია, ერთს უმახლობელესს კრებაზედ სახელმწიფო საბჭომ უნდა განიხილოს პროექტი პურით ვაჭრობით განწესიერებისა შიდა ბაზრებშიო.

„Биржев. Вѣдом.“-ი იუწყება გაგონილს ამბავს, გუშინ სატარიფო კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ პურეულობის, გარდა ზეთის სახდელ ხორბლეულობისა, რკინის გზით გაგზავნაზე დამშეულს ადგილებში საზოგადო ნიხრის მიხედვით გამოერთვათ გარდასახადი $52^0/_0$ დაბლებით, ხოლო ისე-კი, რომ ფუთიდამ ვერსზე $^1/_{100}$ კ.-ზე ნაკლები არ მოდიოდესო. ამავე წესით გაიგზავნება ნაკმაზეულობა და კარტოფილიც, თუ უკვე მიღებული წესი დიდს შეღავათს არ მისცემსო. იგივე გაზეთი იუწყება, რომ ზოგიერთ საქონლის საზღვარ გარედ გატანის აღკრძალვის შესახებ შეღავათი დაწესდაო.

პეტერბურგის ბირჟა, 25 ოქტომბ.

| | მყიდველნისა. | | გამყიდველნისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, | 96 | 7, | 98 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 159 | | 160 | | | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, | 14 | — | „ | — | „ |
| $5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | „ | — | „ | 247 | |
| —მეორისა . . . . | 217 | | — | „ | — | „ |
| —მესამისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . . . , . | — | „ | — | „ | $243^1/_2$ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — | „ | — | „ | — | „ |
| $6^0/_0$. . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| $5^0/_0$. . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც მიუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

---

# განცხადებანი


„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | “ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |

ქეთემია ილიას ასული მორთულაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მამისა თავისისა, **ილია ივანეს ძის ელიოზიშვილისას**, და სთხოვს მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ დასასწრებლად კვირას, 27 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, სამების ეკკლესიაში. (1—1)

---

## აბრეშუმის თესლეულობა
## ძმ. პასხალიდისება

ბრუსსაში (ოსმალეთში).

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა

როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მაწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელს თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში ოთხ-კუთხის ყუთებით და თითოში რვა-რვა მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 119, ძმათ პასხალიდებს. (5—1)

---

**სომეხთა ნერსესიანის სასულიერო სემინარიის სამზრუნველო** ამით აცხადებს, რომ ამ სამზრუნველოს საბჭოში ამა 1891 წლის 6 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, განუმეორებლად გამართული იქნება საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად ამა სემინარიის უძრავის ქონებისა, რომელიც შემოსწირა არუთინ ოქოევმა და რომელიც იპოვება რიყეზედ, № 46. პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10 საათიდგან 12 საათამდე. (3—129—1)

---

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

### სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—28) ქარხანის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

---

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

## დ ა ნ ი ა

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—35)

---

გამოვიდა და ისყიდება
„ქართველთა ამხანაგობის“
წიგნის მაღაზიაში:

პირველი სამი ტომი

## ა. ყაზბეგისა

(ა. მოჩხუბარიძისა)

თხზულებისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი

ფასი ცალკე თითო ტომისა — — — — — 1 მ. 20 კ.
მშვენიერის ყდით საუკეთესო ქაღალდზე თითო ტომი — 2 მ. 50 კ.
ხოლო სამივე ტომი ერთად — — — — — 7 მ. „

ამ ტომებში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: ელგუჯა, ციკო, ელისო, მამის-მკვლელი, განკითხული, მოძღვარი და ციცია, და სულ სამივე ტომი შეიცავს ერთად 1400 გვერდს.

წიგნები ისყიდება აგრეთვე „ქართველთა ამხანაგობის“ აგენტებთან: სოხუმში—ფილიპე ერქომაიშვილი, ბათომში—ბესარიონ კალანდაძე, ფოთში—კონსტანტინე ნოდია (წიგნის მაღაზია), ოზურგეთში—კონსტ. თავართქილაძე და მამინაიშვილი (წიგნის მაღაზია), ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნის მაღაზია), დ. ზესტაფონში—იოს. კაკაბაძე, მირულაში—ილია ჰიჰინაძე, ზემო-ბათუბანში—ანდრ. შაფათავა, საჩხერეში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია), განჯაში—იაკ. ნოდია, თელავში—მიხ. ცისკარაშვილი, სამტრედიაში—გოდერძიშვილი და სიღნაღში—ნიკ. იოსელიანი. (0—10)


Дозв. ценз. Тифлисъ, 26-го Октября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.